ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N59

2018 წლის 11 აპრილი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გარე რეკლამის განთავსებისათვის თვიური საიჯარო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. განისაზღვროს გარე რეკლამის განთავსებისათვის 1 კვ.მეტრის თვიური საიჯარო საფასურის ოდენობა ლოტების მიხედვით, კერძოდ:

ლოტი 1: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა, კერძოდ: დაბა ჩაქვის (მდინარე ჩაქვის წყალის ხიდიდან), სოფელი ბუკნარის, სოფელი ციხისძირის, სოფელი ბობოყვათის, ქ.ქობულეთში, მ.აბაშიძის ქუჩის მონაკვეთის მდინარე კინტრიშის ხიდამდე მხოლოდ დასახლებული პუნქტები - 20 (ოცი) ლარის ოდენობით;

ლოტი 2: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა (ქობულეთი-ოზურგეთის დამაკავშირებელი გზა), კერძოდ: მდინარე კინტრიშის ხიდიდან მ.აბაშიძის ქუჩის მონაკვეთი, რუსთაველის ქუჩა, რუსთაველის ქუჩის შესახვევები და ჩიხები, თავისუფლების ქუჩა, სოფელი გვარას, სოფელი მუხაესტატეს, სოფელი წყავროკას, სოფელი ლეღვას, სოფელი ქაქუთის მონაკვეთების მხოლოდ დასახლებული პუნქტები- 12 (თორმეტი) ლარის ოდენობით;

ლოტი 3: ქ. ქობულეთში, დ. აღმაშენებლის გამზირი, დ. აღმაშენებლის გამზირის შესახვევები და ჩიხები, თამარ მეფის სანაპირო და ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული დანარჩენი ტერიტორია (ე.წ. გელაურის, ემტეესის, ჩოლოქის და სხვა ტერიტორიები) - 15 (თხუთმეტი) ლარის ოდენობით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.ანანიძე);

3. ამ განკარგულების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქობულეთის მუნიციპალიტეტის გარე რეკლამის განთავსებისათვის წლიური საიჯარო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 30 სექტემბრის N140 განკარგულება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **დ.მჭედლიშვილი**